

მანანა ბუკია

კვლავ ქართველურ-აფხაზური ლექსიკური შეხვედრების შესახებ

მონათესავე ენათა ლექსიკური ურთიერთობის შედარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო დარგების ამსახველ ენობრივ მასალას – მათ ოდინდელი ვითარება შემოგვინახეს და საერთო ძირებისა თუ სესხების მიმართულების რკვევა ბევრ საკამათო საკითხს ახლებურად წარმოაჩენს.

განვიხილავთ რამდენიმე საერთო ქართველურ-აფხაზურ ტერმინს მესაქონლეობის ლექსიკიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზური **ა-თელ** „ყოჩი“ (ჯანაშია, 1954, 130) კომპოზიტია და შედგება ორი ინგრიდიენტისაგან: **ა-თე** „ბატკანი“ და **-ლ** სუფიქსისაგან, რომელიც სახელთან შეერთებით წარმოქმნის ახალი მნიშვნელობის სიტყვას და ზედმიწევნით მამრობითი სქესის ცხოველს აღნიშნავს (კვარჭია, 1982, 75).

ეს ვარაუდი საეჭვოა, რადგანაც ჩვენს მიერ განსახილველად გამოტანილ სიტყვაში აუსლაუტში პალატალური უკანაენისმიერი გვაქვს, რომელიც ჩვეულებრივ ნასესხებ ფორმებში დაჩნდება და გვევლინება, როგორც ქართველური სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის რეფლექსი (ლომთათიძე, 1976, 170).

მეგრული **თილი** საერთოქართველური წარმოშობისა ჩანს. მას ქართულში **თიკან-ი**, ხოლო სვანურში **ნელაშდ // ნელეშდ // ნილაშტ** „თიკანი“ შეესატყვისება (ჩუხუა, 2003, 263).

ამდენად ეჭვს არ იწვევს, რომ ტერმინი ქართველურიდან, კერძოდ, მეგრულიდან აქვს შეთვისებული აფხაზურს.

აფხაზური ენის აბჟურ დიალექტში გვხვდება ტერმინი **ა-**

ბაგერ „ბოგა, ბოგირი“ (ჯანაშია, 1954, 62).

ეს ტერმინიც ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში. ამაში, გარდა სიტყვის საერთოქართველური წარმოშობისა, გვარწმუნებს აფხაზური სიტყვის ფონეტიკური ატრიბუტი და გავრცელების არეალი. ბზიფურში მას ა-ცჰა ჩაენაცვლება.

თავად სიტყვა მონათესავე ენების მიხედვით ასეა წარმოდგენილი: ქართ. **ბაგა** : მეგრ.-ლაზ. **ბოგა** „გომი; გომის იატაკი; ხის ხიდი“ : სვან. **ბაგ** „გომი“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 90) და ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მოფიცრულს, მოხიდულს, მობაგულს“. ეს სიტყვა სხვა დასავლურ დიალექტებშიც იხმარება და ზანიზმად განიხილება (დანელია, 1984, 77). სიტყვას აფხაზურში ქართველურიდან შეთვისებულად მიიჩნევს ა. შაგიროვიც (შაგიროვი, 1989, 149).

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზურში ა-ბატ „ზაქი“ (ჯანაშია, 1954, 63). იგივე ტერმინი ჩანს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში ა-ჟბატ „მდედრობითი სქესის ზაქი“, ა-ცბატ „მამრობითი სქესის ზაქი“ (კვარჭია, 1982, 86). სიტყვა უბიხურშიც არის შეღწეული: ბბტ „ზაქი“ (შაგიროვი, 1989, 139).

ვვარაუდობთ, რომ მეგრული წარმოშობისვე უნდა იყოს აფხაზური ა-კკკგა „მრგელად დახვეული ძაფი, მორგვი“ (ჯანაშია, 1954, 153). მის ამოსავალ ფორმად ეთვლით მეგრულ რედუპლიცირებულ კომპოზიტს კვირკვი „ძაფის გორგალი“ (ყიფშიძე, 1914, 256). სესხებისას უკანაენისმიერი ლაბიალური კომპლექსის გადაქცევა ლაბიალიზებულ ხმულად აფხაზური ფონოტაქტიკისათვის ბუნებრივი მოვლენაა. შდრ. აფხ. ა-მაგ „მწყემსის ფეხსაცმელი“ < ძვ. ქართ. **მოგვი** „ჩექმა“, მეგრ. **მაგუია** „უხეში ფეხსაცმელი“ (იხ. ქვემოთ), აფხ. ა-ჯქქრეი < ქართ. **ჯიქურა** (ლომთათიძე, 1976, 169).

მწყემსებისთვის მოსახერხებელი ჩასაცმელი იყო **მაგუია**. ეს ტერმინი გვხვდება ძველ ქართულში: **მოგუ** „ჩექმა“ (აბულაძე,

1973, 261), სვანურში **სამეგუ** „ტყავია“, ლაზურში კი **მანგუ** „საბელს“ ნიშნავს. ლაზურში ფიქსირებული საბელის გაგება იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველური ერთობის დონეზე ***მეგუ** პრაფორმა ტყავის თასმებიან ფეხსაცლმელს აღნიშნავდა (ჩუხუა, 2000-2003, 151). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ ძველი ქართული არის ამოსავალი აფხაზური **ა-მაგ** -სთვის (შაგიროვი, 1989, 150). აფხაზური ფორმა „ტყავისაგან შეკერილ მწყემსის ფეხსაცმელს ნიშნავს“ (ბჟანია, 1962, 153). ვფიქრობთ, რომ აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი მეგრული **მაგუია**-ა „რეზინისძირიანი უხეში ფეხსაცმელი“, რომელიც ქართული **მოგუ**-ს კნინობითი ფორმაა.

ჯარგვალი მეგრული კომპოზიტია და ზედ. „მრგვალ ხეს“ ნიშნავს (**ჯა** „ხე“, **რგვალი** „მრგვალი“). მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მწყემსის სადგომი“. „ქობი, ძელური; ძელმრგვალი. მრგვალი ხისაგან გაკეთებული სახლი“. (ქაჯაია, 2002-ა, 597). შდრ. იმერ. **ჯარგვალი** „საქონლის სადგომი ზემო იმერეთში“ (მაკალათია 1978, 69). მეგრული ტერმინი გვაქვს აფხაზურში **ა-ჯარგალ** „ძელური“ სახით (ჯანაშია, 1954, 447), აგრეთვე ჰიბრიდულ კომპოზიტში **ა-ჯარგალჭნ**, „ქობი“ (ბლაჟბა, 1964, 243) **ა-ჯარგალჯნე** (ბლაჟბა, 1964-ა, 204), ტერმინი ტოპონიმიდაც გაფორმებულია – **აჯირგვალ** ტყეა ღალიძგის ზემოთ, ტყვარჩელთან (ცხადაია, 1999, 228).

ფაცხა სამსავე ქართველურ ენაში გვაქვს. შდრ. **ფაცხა** „უჭერო და უიატაკო წნული ქობი ისლით, ჩალით და მისთანებით დახურული“ (ქეგლ, VII, 50); ლაზ. **ფაცხა** „ფაცხა, წნელით მოწნული ქობი“ (მარი, 1910, 193). სვან. **ფაცხ** „ფაცხა“ (თოფურია, 2000, 753). გვხვდება აფხაზურში: **ა-ფაცხა** (ჯანაშია, 1954, 275). აბჟურ დიალექტში წარმოდგენილ **ა-ფაცხა**-ს ბზიფურში ენაცვლება **ა-ბგცაყჯნე**. თ. გვანცელაძის შეხედულებით, ამ ორი ფორმიდან ამოსავალია ბზიფური ფორმა,

სადაც აბაცა > აბგცა „წნელს“ აღნიშნავს, ყზ < ყა
„ტალახის, ნაკელის“ აღმნიშვნელი ძირია, ჳნგ კი „სახლის“
აღმნიშვნელი ფუძე, ე. ი. *ა-ბგცაყა აფხაზურში თავდაპირველად
ერქვა ტალახით ან ნაკელით შელესილ წნელ სახლს. *ა-
ბგცაყა ფორმა უსესხებია მეგრულს (აფხ. ა-ბგცაყა > მეგრ.
*ბაცხა > ფაცხა) თავის მხრივ მეგრული ფორმა უკუისესხა
აფხაზური ენის აბეურმა დიალექტმა, ბზიფურს კი შერჩა
საკუთარი სიტყვა (გვანცელაძე, 19989, 21).

საზაფხულო სამოვარზე მწყემსის მაგიდას ერქვა ჩერხვი
(წალენჯი, ჩეხუ „ხის მაგიდის მაგვარი“ (ქაჯაია, 2002-ა, 302).
იგივე ფორმა გვაქვს აფხაზურში: ა-ჩარლ „მწყემსის მაგიდა“
(არშბა, 1980, 82), შეიძლება. გვევარაუდა, რომ ამოსავალი
მეგრული ჩერხვი იყოს: აფხაზურში ნასესხები სიტყვის ე
ინტერვოკალურ ჰოზიციაში > ა. გარდა ამისა, ხვ კომპლექსი
იქცა ლაბიალურ ღ-დ, რაც ასევე ბუნებრივია აფხაზური
ფონოტაქტიკისთვის, მაგრამ აფხაზურში სიტყვას გამჭვირვალე
ეტიმოლოგია აქვს და კომპოსიტად განიხილება: ა-ჩარლ <
*ა-ჩარა – ღვ, სადაც აჩა-რა „პურობა, ღვ „ფიცარი“
(ლომთათიძე, 1976, 128).

მითითებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, პეული ქართული ენის
ლექსიკონი, თბილისი.

არშბა 1980 – Н. В. Аршба, Словарь животноводческих
терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми

ბუანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов.

Этнографические очерки. Сухуми

ბლაჯბა 1948 – Х. Бгажба, Общие корни (и основы) в абхазском
и картвельских языках, იკე, II, თბილისი

ბლაჟბა 1964 – – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми.

ბლაჟბა 1964-ა – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси

გვანცელაძე, 1993 – თ. გვანცელაძე, აფხაზურ საცხოვრებელთა არქიტექტურული ტიპები და მათი სახელწოდებანი, არნ. ჩიქობავას სას. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

დანელია, 1984 – კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, ენათმეცნიერება, 245, თბილისი.

თოფურია, 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000.

ინალ-იფა 1986 – Ш. Инал-ипа, Г. Смыр, Р. Чанба, Земледелие и скотоводство у абхазов (Материалы к историко-этнографическому атласу Грузии). Редакторы И. Робакидзе и Л. Акаба. Тбилиси

კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми

ლომთათიძე, 1976 – ქ ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ – შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

მაკალათია, 1978 – მ. მაკალათია, მეცხოველეობა ზემო იმერეთში, მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი.

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია, 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,

ტ. III, 2002.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ.

ჩიქობავას საერთო რედაქციით, თაბ. 1955-1964.

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ

შაგიროვი, 1989 – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва '

ჩუხუა, 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ცხადაია, 1999 – პ. ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვრებზე. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი.

ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი

წელიწდეული II

თბილისი 2006

გვ. 100-104